სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტის სამსახურში მისაღებად რექტორის 2026 წლის 7 აგვისტოს N 213/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 7 სექტემბრის N59/2026 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი

ქ. თბილისი

"17" სექტემბერი 2026 წ.

15.00 საათი, თსუ VIII კორპუსი, აუდიტორია №204

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 5 წევრი: ასოც. პროფ. რ. გუჯეჯიანი, ასოც. პროფ. თ. გვიმრაძე, დოქტ. ქ. ალავერდაშვილი, დოქტ. ნ. ჩირგაძე, დოქტ. ბ. კომახიძე

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტის (ბ. კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის ასოც. პროფ. როზეტა გუჯეჯიანის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ეთნლოგია-ანთროპოლოგიის **სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტის (ბ. კატეგორია)** 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - ელენე ბერაიამ.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, ერთი კანდიდატის - ელენე ბერაიას პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთები.

ელენე ბერაიამ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3).

კომისიამ მიიჩნია, რომ ელენე ბერაიას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს თსუ ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ს/ს ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში. ე. ბერაია 2018 წლიდან როგორც სტუდენტი და 2025 წლიდან როგორც მოწვეული პედაგოგი აქტიურად მონაწილეობს ინსტიტუტის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ ყველა აქტივობაში. იგი უძღვება ინგლისურენოვან კურსს საქართველოს ეთნოლოგიაში გაცვლითი პროგრამის სტუდენტებისთვის, არის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული კონფერენციების საორგანიზაციო ჯგუფის წევრი, სტუდენტ ეთნოლოგთა სამეცნიერო წრის ფარგლებში ორგანიზებას უწევს სამეცნიერო შეხვედრებს. ე. ბერაიას ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ს/ს ინსტიტუტთან უფრო მეტად ინტეგრირება გააძლიერებს ინსტიტუტის სტუდენტებთან მუშაობის შესაძლებლობებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე სრული წესების დაცვით ჩატარდა ფარული კენჭისყრა კომისიის წევრებმა დალუქეს ფარული კენჭისყრისთვის განკუთვნილი ყუთი და ხელი მოაწერეს ლუქს. ამის შემდეგ მათ ხელი მოაწერეს ყველა ბიულეტენს. კომისიის წევრებმა ცალ-ცალკე, ფარულად მიიღეს გადაწყვეტილება და მოათავსეს ბიულეტენები ყუთში. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია ბ. კომახიძეს, რადგან იგი ობიექტური მიზეზების გამო არ ესწრებოდა კომისიის პირველ ორ სხდომას და მონაწილეობა არ მიუღია პრეტენდენტის საბუთების განხილვის პროცესში. ამის შემდეგ ხმის დამთვლელი კომისიის წევრებმა გახსნეს ყუთი და დათვალეს ხმები.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის კენჭისყრაში მონაწილე ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ელენე ბერაიას კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიამ შეფასებისას გაითვალისწინა რომ ელენე ბერაია 2018 წლიდან იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ეთნლოგიის მიმართულებით, ხოლო 2024 წლიდან

დღემდე არის სადოქტორო პროგრამა ანთროპოლოგიის დოქტორანტი, მან ორჯერ მიიღო მონაწილეობა ერაზმუს+ გაცვლით პროგრამაში და თითო სემესტრი გაატარა მესინის (2025) და კა'ფოსკარის (2023-2024) უნივერსიტეტებში. აქვს სწავლების გამოცდილება - 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფულის სემესტრში იყო თსუ ეთნოლოგია-ანთროპოლოგის ს/ს ინსტიტუტის მოწვეული პედაგოგი; არის 4 სამეცნიერო სტატიის ავტორი; მონაწილეობა აქვს მიღებული 17 სამეცნიერო, მათ შორის 4 საერთაშორისო კონფერენციაში; არის რუსთაველის ფონდის საქართველს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო პროექტის: "საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების ტრადიციული სოციოკულტურული მახასიათებლები და თანამედროვეობა - სვანეთი" შემსრულებელი; მონაწილეობა აქვს მიღებული აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის, ებერტის ფონდის, კორბერის ფონდის, აღმოსავლეთ ევროპისა და საერთაშორისო კვლევების ცენტრის, განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიის ცენტრის მიერ მხარდაჭერილ საერთაშორისო პროექტებში; იყო თბილისის მერიის სტიპენდიანტი (2024); ფონდ "ქართული გალობის" ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელობის სტიპენდიანტი (2023); შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2023 წლის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული; მონაწილეობა აქვს მიღებული საველე ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის საერთაშორისო ექსპედიციებში. იგი ფლობს რამდენიმე უცხო ენას. ე. ბერაიას აქტიური ჩართულობა თსუ ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ს/ს ინსტიტუტის საქმიანობაში სასარგებლო იქნება ინსტიტუტის საერთაშორისო კომუნიკაციისა და სტუდენტებთან მუშაობის გაძლიერების მიმართულებით.

დაადგინეს:

1. ერთხმად დაადგინეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-

სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტის (ბ. კატეგორია) 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: ელენე ბერაია.

1. შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე:

როზეტა გუჯეჯიანი ----------

მოადგილე:

თეიმურაზ გვიმრაძე ----------

წევრები:

ნინო ჩირგაძე ----------

ქეთევან ალავერდაშვილი ----------

კომისიის მდივანი:

ბორის კომახიძე ----------

თარიღი: 17.09.2026.